სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

08/07/2025

MES 1 25 0000840719

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2025-2026 სასწავლო წლისათვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებისათვის სასწავლო გრაფიკის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის №227 ბრძანების „სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N 122/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის - წესდების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის ,,ა” ქვეპუნქტის, მე-9 პუნქტისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სხდომის 2025 წლის 8 ივლისის N16 ოქმის, საოქმო დადგენილება 3-ის საფუძველზე და უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ნანა რინკიაშვილის სამსახურებრივი ბარათის (08/07/2025;N838284) საფუძველზე:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2025-2026 სასწავლო წელი (სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებისათვის) დაიწყოს 2025 წლის 6 ოქტომბერს და დასრულდეს 2026 წლის 17 ივლისს:

- **სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებისათვის სემესტრების ხანგრძლივობა განისაზღვროს შემდეგი სახით:**

ა) შემოდგომის სემესტრი დაიწყოს 2025 წლის 6 ოქტომბერს და დასრულდეს 2025 წლის 20 თებერვალს;
ბ) გაზაფხულის სემესტრი დაიწყოს 2026 წლის 9 მარტს და დასრულდეს 2026 წლის 17 ივლისს;
გ) შემოდგომის სემესტრში სტუდენტთა ადმინსტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია დაიწყოს 2025 წლის 15 სექტემბერიდან და დასრულდეს 2025 წლის 26 სექტემბერს. დაგვიანებით რეგისტრაცია შესაძლებელია ინდივიდუალური განცხადებების განხილვის საფუძველზე;
დ) გაზაფხულის სემესტრში სტუდენტთა ადმინსტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია დაიწყოს 2026 წლის 2 მარტიდან და დასრულდეს 2026 წლის 8 მარტს. დაგვიანებით რეგისტრაცია შესაძლებელია ინდივიდუალური განცხადებების განხილვის საფუძველზე;
ე) საშობაო არდადეგები გამოცხადდეს 2025 წლის 29 დეკემბრიდან 2026 წლის 3 იანვრის ჩათვლით;
ვ) უქმე დღეებში გაცდენილი სასწავლო კურსები ანაზღაურდეს ლექტორსა და სტუდენტს შორის შეთანხმების საფუძველზე, არაუმეტეს მომდევნო კვირისა.

სესიები ჩატარდეს შემდეგი გრაფიკით:

ა) ზამთრის სესიები დაიწყოს 2026 წლის 26 იანვარს და დასრულდეს 2026 წლის 7 თებერვალს;
ა)¹ დამატებითი საგამოცდო პერიოდი განისაზღვროს 2026 წლის 2 თებერვლიდან 2026 წლის 14 თებერვლის ჩათვლით;
ბ) ზაფხულის სესიები დაიწყოს 2026 წლის 22 ივნისიდან და დასრულდეს 2026 წლის 4 ივლისს;
ბ)¹ დამატებითი საგამოცდო პერიოდი განისაზღვროს 2026 წლის 29 ივნისიდან 2026 წლის 11 ივლისის ჩათვლით;

- **არდადეგების ხანგრძლივობა განისაზღვროს შემდეგი სახით:**

ა) ზამთრის არდადეგები დაიწყოს 2026 წლის 23 თებერვლიდან და დასრულდეს 2026 წლის 8 მარტს.

2.ლექციის ხანგრძლივობა განისაზღვროს 50 წუთით, შესვენება 10 წუთით;
3.სწავლა დაიწყოს 09:00 საათიდან;
4.2025-2026 სასწავლო წელი დასრულდეს 2026 წლის 17 ივლისს;
5.დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას (მ. ბეჟანიშვილი) ბრძანების გადაგზავნა სამსახურებისათვის და ფაკულტეტებისათვის;
6.დაევალოს უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციისა და საზოგადოებრივ საქმეთა სამსახურს (თ. ასლანიშვილს) წინამდებარე ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;
7.წინამდებარე ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს რექტორის მოადგილეს (ი. შიოშვილს);
8.ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის ფინანსურ-მატერიალური რესურსების მართვისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურს;
9.ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
10.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი N 41).

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები
სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
რექტორი
ჭკადუა შალვა